საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-366

28/04/2020

ქ. თბილისი

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქოსალარის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, ბაზალტის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 24 აპრილის N2-362 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იყო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქოსალარის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, ბაზალტის მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ 2020 წლის 24 აპრილს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-362 ბრძანება „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქოსალარის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, ბაზალტის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“.

ბრძანების მეორე გვერდზე, ბოლო აბზაცში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, მითითებულია, რომ საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი, თუმცა, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ელექტრონული ფოსტით, სამინისტროში წერილობითი შენიშვნები დააფიქსირა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“. ორგანიზაციის განცხადებით, სკრინინგის ანგარიში არ არის სრულყოფილად შესრულებული და საჭიროა საკითხის შესწავლა. აღსანიშნავია, რომ სკრინინგის გადაწყვეტილებით აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. შესაბამისად, საჭიროა მითითებულ ბრძანებაში შესაბამისი შესწორების შეტანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქოსალარის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, ბაზალტის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 24 აპრილის N2-362 ბრძანების მეორე გვერდის ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში წერილობითი შენიშვნები დააფიქსირა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“, რომელიც ეხება სკრინინგის ანგარიშის არასრულფასოვნად შესრულებას. შენიშვნის ძირითადი არსი მდგომარეობს, იმაში, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით უცნობი რჩება საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი, ხარისხი და კომპლექსურობა“.

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება 5 დღის ვადაში განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი